

შპს „სტუდია მაესტრო „

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	6

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	7

აქტივები	თანხა
ნაღდი ფული საღაროში	30
ფული საბანკო ანგარიშებზე	23,973
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (1)	24,003
სარეკლამო მოთხოვნები	157,950
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	149,587
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,869
მისაღები პროცენტები	130,834
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,536,467
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები (2)	1,976,707
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	84,593
მარაგი (3)	84,593
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,085,303
ძირითადი საშუალებები (4)	787,105
არამატერიალური აქტივები (4)	61,553
წინასწარ გადახდილი ავანსები	786,706
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,635,364
სულ აქტივები	3,720,667
კაპიტალი და ვალდებულებები	
ადგილობრივი მომწოდებლები	11,218,923
უცხოელი მომწოდებლები	1,188,580
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,407,503
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	12,407,503
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები	10,702,380
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (5)	33,489,295
მიღებული ავანსები ადგილობრივი კომპანიებიდან (6)	29,380,895
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	73,572,570
საკუთარი კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	2,000
წინა წლების დაუფარავი ზარალი	(77,959,674)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	(4,301,732)
სულ საკუთარი კაპიტალი	(82,259,406)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,720,667

დირექტორი:


ზურაბ ნაყერი

შპს „სტუდია მაცეტრო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

მოგება-ზარალი	31/12/2023
ამონაგები	
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	350,656.00
ტექნიკის იჯარა	25,424.00
ჯამი	376,080.00
საოპერაციო ხარჯები	
ხელფასები	1,771,743.00
სხვა დაზღვევა	39,781.00
პენსია	29,085.00
საწვავის ხარჯი	31,830.00
ფართის იჯარა	254,237.00
სატელიტის მომსახურება	276,815.00
სატელეფონო მომსახურება	9,123.00
კვლევა და რეიტინგის დათვლა	52,726.00
უსაფრთხოების მომსახურება	4,576.00
სხვა საგადასახადო ხარჯები და საურავები	382,726.00
სატელევიზიო გადაცემები	1,460,445.00
ცვლელ/ამორტიზაცია	196,776.00
სხვა ხარჯები	44,183.00
ჯამი	4,554,046.00
საოპერაციო შემოსავალი (ზარალი)	(4,177,966.00)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (საკურსო)	(123,766.00)
ზარალი	(4,301,732.00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	(77,957,674.00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	(82,259,406.00)

დირექტორი:



ზურაბ წაყეური


შპს „სტუდია მასტრო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
საწესდებო კაპიტალი	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(77,959,674.00)	(79,016,356.00)
მოგება / ზარალი	(4,301,732.00)	1,056,682.00
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(82,261,406.00)	(77,959,674.00)
საკუთარი კაპიტალი	(82,259,406.00)	(77,957,674.00)

დირექტორი:



ზურაბ ნაყეური

შპს „სტუდია მასტრო“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წელი. (ლარი)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,510,231.00
ხელფასები	1,372,032.00
პენსია	59,000.00
დაზღვევა	21,948.00
სატელიტური მომსახურება	326,620.00
სატელევიზიო გადაცემები	1,514,860.00
საწვავი	38,410.00
ტელეფონები	10,563.00
კვლევა და რეიტინგის დათვლა	67,514.00
საგადასახადო გადასახადები	26,590.00
სხვა ხარჯები	51,972.00


სულ ხარჯები 3,489,509.00

ფულადი სახსრების შემოღინება/გაღინება 20,722.00

საწყისი ნაღდი ფული 3,281.00

გამომავალი ნაღდი ფული 24,003.00

დირექტორი:



ზურაბ ნაყელი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტუდია მასტრო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2002 წლის 09 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 236080557. 2022 წლის 31 დეკემბრის მსდგომარეობით კომპანიის დირექტორი არის ზურაბ ნაყეური (01012014184).

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს: სატელევიზიო პროგრამების შექმნა და ტელემაუწყებლის საქმიანობები.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, სოფელი დიდოში დიდგორის ქუჩა 68/22

კომპანიის ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, ლუბლიანას 5.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 55%-იანი წილის მფლობელია გიორგი გაჩეჩილაძე (პ/ნ 01008001906) საქართველოს მოქალაქე, 25%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედია ფინანს გრუპ ბი.ვი.“ (ს/კ 65838556) ნიდერლანდები, 15%-იანი წილის მფლობელია მამუკა ღლონტი (პ/ნ 01030002634) საქართველოს მოქალაქე, 5%-იანი წილის მფლობელია ეკატერინე აკობია (პ/ნ 01024023515).

2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 50 ადამიანი.

კომპანიის ფინანსური უწყისები მომზადებულია მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად. ორგანიზაციის საანგარიშგებო წელია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და არ არსებობს რაიმე მიზეზი რის გამოც შესაძლოა ვივარაუდოთ კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძირითად საანგარიშსწორებო ვალუტას.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ხდება პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა ORIS -ის მეშვეობით. კომპანიის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება გაწეული მომსახურების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია დაჯგუფებულად მათი დანიშნულების მიხედვით. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ხელფასები, ზონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(1) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

(2) სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

(3) მარაგი

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

(4) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 20% ოდენობით.

ძირითადი საშუალებები 2023 წლის მდგომარეობით

ანგარიში	დასახელება	თვითღირებულება 31.12.2022	დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	2023 წლის ცვეთა	თვითღირებულება 31.12.2023	დაგროვილი ცვეთა 31.12.2023
2000	გრძელვადიანი აქტივები	1,048,021.04	-	199,363.57	848,657.47	-
2100	ძირითადი საშუალებები	7,041,328.06	-	2,587.43	7,038,740.63	-
2160	ოფისის აღჭურვილობა	7,025,758.66	-	2,587.43	7,023,171.23	-
2160 01	ოფისის აღჭურვილობა 1000 ლარამდე	174,557.56	-	-	174,557.56	-
2160 02	ოფისის აღჭურვილობა 1000 ლარზე მეტი	6,851,201.10	-	2,587.43	6,848,613.67	-
2180	სატრანსპორტო საშუალებები	15,569.40	-	-	15,569.40	-
2200	ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	6,054,859.90	196,776.14	-	6,251,636.04
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-	6,041,902.62	196,253.72	-	6,238,156.34
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	-	12,957.28	522.42	-	13,479.70
2500	არამატერიალური აქტივები	72,256.77	-	-	72,256.77	-
2510	ლიცენზიები	72,256.77	-	-	72,256.77	-
2600	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-	10,703.89	-	-	10,703.89
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზ.	-	10,703.89	-	-	10,703.89

(5) გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლი „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები“ წარმოადგენს უცხოელი ინვესტორის მიმართ არსებულ სესხს: 9 535 0000 დოლარისა და 2,637 000 ევროს ოდენობით.

(6) მიღებული ავანსები ადგილობრივი კომპანიებიდან

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლი „მიღებული ავანსები“ წარმოადგენს ადგილობრივი კომპანიის მიერ ავანსად გადახდილ თანხას სტუდია მაესტროს მიმართ.

დირექტორი:

